



მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

WWW.MY.GOV.GE

საინფორმაციო ფურცელი

გამოშვება #42

აპრილი, 2015

გამოშვებაში
წაიკითხავთ

მოქალაქის პორტალის (MY.GOV.GE) უპირატესობებს
საზოგადოებრივ ცენტრებში ადგილობრივი
მოსახლეობა ეცნობა

1 მოქალაქის პორტალის პრეზენტაცია ნუკრიაკის საზოგადოებრივ ცენტრში



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ქვეყნის მასშტაბით განთავსებულ საზოგადოებრივ ცენტრებში ადგილობრივი მოსახლეობისთვის მოქალაქის პორტალის MY.GOV.GE-ს პრეზენტაციების ციკლი დაიწყო.

2 დიპლომატიური ბარათების შექმნაზე მუშაობა მიმდინარეობს

პირველი შეხვედრა სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუკრიანში მდებარე ახალი ტიპის საზოგადოებრივ ცენტრში გაიმართა, სადაც ასევე განთავსებულია თანამედროვე ტიპის ბიბლიოთეკა.

2 ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი საქართველოს სახელმწიფო ელექტრო სისტემაში

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლებმა ადგილობრივ მოსახლეობას დეტალურად გააცნეს მოქალაქის პორტალის (www.my.gov.ge) გამოყენების ინსტრუქცია, ისაუბრეს მის უპირატესობებზე და წარმოადგინეს ყველა ის მნიშვნელოვანი ელექტორული მომსახურება, რომელთა მიღებაც მოქალაქეებს დისტანციურად, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერის მეშვეობით შეუძლიათ.

3 იუმს-ის სტანდარტთან შესაბამისობის სერტიფიცირება საქართველოს ეროვნულ ბანკში

მოქალაქის პორტალით სარგებლობისთვის მომხმარებელს შეუძლია გამოიყენოს როგორც ახალი პირადობის მოწმობა, ისე მომხმარებლის სახელი და პაროლი, რომლის მიღებაც ერთჯერადი პროცედურის გავლით იუსტიციის სახლებშია შესაძლებელი, უახლოეს მომავალში კი სახელისა და პაროლის დარეგისტრირება საზოგადოებრივი ცენტრებშიც გახდება ხელმისაწვდომი.

3 საჯარო რეესტრში კონსოლიდირებული რეაგირების პორტალზე მუშაობა დასრულდა

მოქალაქის პორტალზე მომხმარებელი რამდენიმე მარტივი კომბინაციის განხორციელებით იღებს სხვადასხვა სახის მომსახურებას - იქნება ეს პიროვნებასთან (პასპორტი, სხვადასხვა სახის მოწმობები, გვართან დაკავშირებული საინტერესო ინფორმაცია), ქონებასთან, სოციალურ მომსახურებასთან, ჯანდაცვასთან ან ბიზნესის წამოწყებასთან დაკავშირებული პროცედურები თუ კომუნალური, სხვადასხვა სახის ჯარიმებისა და სხვა გადასახდელების გადახდა (გაგრძელება გვ. 2)

4 CERT.GOV.GE შედარებით ტესტირებას აგრძელებს



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge



www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge

საპარტნიორო
საკანონმდებლო
მაცნე

www.eAuction.ge
ელექტრონული აუქციონი

www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1)

მომხმარებელს, მაგალითად, შეუძლია სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად შეიცვალოს მისამართი, განახლოს ქონების ამონაწერი, ელექტრონულად გამოითხოვოს საჯარო ინფორმაცია ან დაარეგისტრიროს კომპანია და წამოიწყოს ბიზნესი. ყველა მომსახურება შესაბამისი კატეგორიების მიხედვითაა დალაგებული, რაც ამარტივებს სასურველის არჩევას. მომხმარებელს ასევე შესაძლებლობა აქვს მისთვის საჭირო ყველა ის მომსახურება, რომელსაც ხშირად იყენებს, საკუთარი შეხედულებისამებრ განათავსოს პირად გვერდზე. დღეისათვის პორტალზე ხელმისაწვდომია 70-ზე მეტი ელექტრონული მომსახურება.

„მნიშვნელოვანია, რომ რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას ელექტრონული სერვისებისა და მათი გამოყენების შესახებ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოვაწოდოთ. ჩვენი მიზანია, რომ ელექტრონული მმართველობა, რომლის გამოხატულებაც არის მოქალაქეებისათვის სხვადასხვა სახელმწიფო სერვისის ელექტრონულად, ერთი ფანჯრის პრინციპით მიღების შესაძლებლობა, მთელი ქვეყნის მასშტაბით განვითარდეს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ საზოგადოებრივ ცენტრებში მსგავსი სახის შეხვედრების ორგანიზება“, - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

მსგავსი სახის შეხვედრები ტრადიციულ სახეს მიიღებს და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში განთავსებულ საზოგადოებრივ ცენტრებში ეტაპობრივად ჩატარდება.

სერვისების განვითარების სააგენტო დიპლომატიური ბარათების შექმნის სისტემაზე მუშაობს



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შორის ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის თანახმად, სერვისების განვითარების სააგენტო საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის

უზრუნველყოფს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა აკრედიტაციისა და მონაცემთა დაცვის ელექტრონული პროგრამის შემუშავებას.

აღსანიშნავია, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო დიპლომატთა აკრედიტაციის ერთიან ელექტრონულ სისტემას პირველად ამკვიდრებს და საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც დიპლომატთა აკრედიტაციის მრავალფუნქციური, მაღალტექნოლოგიური პროგრამა იმოქმედებს.

პროექტი ითვალისწინებს დიპლომატებისთვის სააკრედიტაციო ბარათების მოდელის დამზადებას, მათი გაცემის ინსტრუმენტის შექმნასა და ელექტრონული მონაცემთა ბაზის ფორმირებას. პროექტის ფარგლებში მოხდება გაყალბებისგან დაცული, ელექტრონულ სისტემებში ინტეგრირებადი დიპლომატების ბარათების შექმნა, რომლითაც შესაძლებელი გახდება მფლობელის იდენტიფიცირება და შემდგომში მათთვის კანონით დადგენილი სხვადასხვა სახის შეღავათების გამოყენება.

ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი საქართველოს სახელმწიფო ელექტრო სისტემაში



2015 წლის 5 მარტიდან საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში მიმდინარეობს SCADA და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის აუდიტი, რომელსაც მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოების და პოლიტიკის სამმართველო ახორციელებს.

აუდიტის ფარგლებში ხორციელდება არსებული მდგომარეობის გამოვლენა და საუკეთესო პრაქტიკებთან შედარება. აუდიტის შედეგი ნათლად დაანახებს ორგანიზაციის ხელმძღვანელობას საქართველოს კანონთან ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ და მგს 27001:2011 სტანდარტთან, აგრეთვე COBIT და საქმიანობის უწყვეტობის საუკეთესო პრაქტიკებთან შესაბამისობას.

საქართველოს ეროვნულ ბანკი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის ISO/IEC 27001: 2013 სტანდარტთან შესაბამისობაზე დასერტიფიცირდა



საქართველოს ეროვნული ბანკი პირველი ორგანიზაციაა საქართველოში, რომელმაც წარმატებით გაიარა სასერტიფიკაციო აუდიტი და ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის საერთაშორისო სტანდარტის ISO/IEC 27001: 2013 შესაბამისობაზე დასერტიფიცირდა.

სერტიფიცირება განხორციელდა საერთაშორისო ანგარიშსწორებისა და რეზერვების მართვის დასაქართველოს საგადახდო და ფასიან ქალაქდებთან დაკავშირებული ანგარიშსწორების მომსახურებების მიმართულებით. აღნიშნულით, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა ამ მიმართულებებით სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტთან.

სერტიფიცირება ცალსახა აღიარებაა, რომ ეროვნული ბანკის ხელთ არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, კონფიდენციალობისა და მთლიანობის დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებები ხორციელდება ISO/IEC 27001: 2013 სტანდარტის შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობაზე სერტიფიკატი გერმანულმა მასერტიფიცირებელმა ორგანომ TÜV SÜD management Service GmbH - მა გასცა, რომელიც აკრედიტებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეროვნული სააკრედიტაციო ორგანოს DAkkS - ის მიერ.

„ISO/IEC 27001: 2013 - ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტია, რომლის შესაბამისობის სერტიფიკატი ქვეყანაში პირველად საქართველოს ეროვნულ ბანკს მიენიჭა. ეროვნული ბანკი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, კონფიდენციალობისა და მთლიანობის დაცვას. ამიტომ, აღნიშნულ სტანდარტთან შესაბამისობა ეროვნული ბანკისთვის და მთლიანად ფინანსური სექტორის განვითარებისთვის კიდევ ერთი, წინ გადადგმული ნაბიჯია“, - განაცხადა ეროვნული ბანკის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი მელაშვილმა.

საჯარო რეესტრში კონსოლიდირებული რეაგირების პორტალზე მუშაობა დასრულდა



საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტმა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის ახალი ელექტრონული პროგრამა - კონსოლიდირებული რეაგირების პორტალი შექმნა. პროგრამის დახმარებით, სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ორგანიზაციებს შორის კომუნიკაცია მთლიანად ელექტრონული გახდება, გამარტივდება გარე უწყებებთან ურთიერთობა და კოლაბორაცია.

ამ დრომდე სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ორგანიზაციებს, რომლებსაც ელექტრონული სისტემა საერთოდ არ ჰქონდათ ან მათი სისტემები სახელმწიფო სტრუქტურებში არსებულ სისტემებთან არ იყო ინტეგრირებული, ქონების გასხვისებასთან, პრივატიზაციასთან და მსგავს საკითხებთან დაკავშირებით წერილებს ფოსტით უგზავნიდა. ფოსტივთვე ხდებოდა მათთან კონსულტაცია. ამას გარდა, ორგანიზაციისთვის ვალდებულების შესრულების ვადის დაწესება და მისი კონტროლი შეუძლებელი იყო, რაც გასხვისებას თუ პრივატიზაციის პროცესს დროში მნიშვნელოვნად ახანგრძლივებდა.

ახალი პროგრამის ამოქმედების შემდეგ აღნიშნული პროცესი ავტომატიზებული გახდება. პორტალის დახმარებით, ნებისმიერ ადრესატთან წერილის ელექტრონულად გადაგზავნა იქნება შესაძლებელი. ვადების დაწესება, უკვე დაწესებული ვადის გაზრდა და მისი შესრულების კონტროლი ავტომატურ რეჟიმში მოხდება (გაგრძელება გვ. 4).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 3)

კონსოლიდირებული რეაგირების პორტალის კონცეფცია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების გუნდის მიერ შემუშავდა და დაინერგა. სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის თანამშრომლებს წლების განმავლობაში სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურაში არაერთი წარმატებული პროექტი აქვთ განხორციელებული, რამაც ამ სტრუქტურების ბიზნესპროცესების ავტომატიზაცია, ელექტრონული მმართველობის პრინციპებზე გადასვლა, ეფექტური და წარმატებული მუშაობა განაპირობა.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს CERT.GOV.GE ჯგუფი სხვადასხვა ორგანიზაციებში შედწევადობის ტესტირებას აგრძელებს



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს CERT.GOV.GE ჯგუფი სხვადასხვა საჯარო და კერძო ორგანიზაციის ვებგვერდებზე შედწევადობის ტესტირებას აგრძელებს. აღნიშნული ტესტირება მნიშვნელოვანია, რათა დროულად გამოვლინდეს ამა თუ იმ ვებგვერდზე არსებულის სისუსტეები და მოხდეს მათი განეიტრალება, ეს კი უზრუნველყოფს მათ მდგრადობას სხვადასხვა სახის შეტევასთან მიმართებაში.

დღეისათვის CERT.GOV.GE ჯგუფმა ტესტირებაზე გააფორმა 5 ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც შემოწმდა 10 ვებგვერდი. აღნიშნული პროცესი გრძელდება.

JUSTDRIVE - ინოვაციური პროექტი იუსტიციის სახლისგან!



მზა დოკუმენტების მიღების შესაძლებლობა ავტომატურად

ამ ეტაპზე შესაძლებელია შემდეგი ტიპის მზა დოკუმენტების გატანა: ქონების ამონაწერი, ბიზნესის ამონაწერი, პასპორტი, განმეორებითი მოწმობები/ცნობები, ცნობა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არ არსებობის შესახებ, მოქალაქეობის და მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები.

ასევე, ავტომატურად მზა დოკუმენტის სახით შეგიძლიათ საინფორმაციო ბარათის, სულადობის ცნობისა და პირველადი ატესტატის მიღება.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოში დამმობილების პროექტს ესტონურ-იტალიური კონსორციუმმა განაცხორციელა



ევროკავშირის დამმობილების (TWINNING) პროექტს, რომელიც ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშეწყობას ისახავს მიზნად, მონაცემთა გაცვლის სააგენტოში ესტონურ-იტალიური კონსორციუმმა განაცხორციელა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლობა ავრცელებს.

დამმობილების პროექტი სექტემბერში დაიწყო და 18 თვის განმავლობაში გაგრძელდება.. აღსანიშნავია, რომ მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთვის ეს უკვე მეორე დამმობილების პროექტი იქნება.

პირველი პროექტი ავსტრო-გერმანულმა კონსორციუმმა განაცხორციელა.

CERT.GOV.GE-ს რეკომენდაციები



„ვორდპრესის“ (WordPress) ერთ-ერთ ცნობილ დამატებაში (Google Analytics by Yoast) აღმოჩენილია უსაფრთხოების სისუსტე, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია დისტანციურად, ავთენტიფიკაციის გარეშე ინსტრუმენტა დაფაში (dashboard) მავნე „javascript“-ის კოდის ჩაწერა, რომელიც გააქტიურდება ადმინისტრატორის ინსტრუმენტა დაფაში შესვლით. მავნე კოდის საშუალებით შესაძლებელია ადმინისტრატორის პაროლის შეცვლა, ადმინისტრატორის უფლების მქონე ახალი მომხმარებლის დამატება და სხვა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს სამთავრობო კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფი CERT.GOV.GE გირჩევთ დაუყონებლივ განაახლოთ

“Google Analytics by Yoast“-ის დამატება, რომელიც ხელმისაწვდომია ინსტრუმენტა დაფიდან.

იხილეთ ჩვენი საიტები

www.dea.gov.ge; www.my.gov.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2
თბილისი 0102, საქართველო
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გასურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტრირდეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გასურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ